მ ი მ ა რ თ ვ ა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით ბაქრაძეს,

საქართველოს პარლამენტის წევრებს

ჩვენ, არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოქალაქეები, მხარს ვუჭერთ კამპანია "ეს შენ გეხებას" ფარგლებში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით 2012 წლის 7 მაისს საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებებს, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში:

- ხელს უწყობენ თანაბარი მედია გარემოს შექმნას;
- ადგენენ ამომრჩევლისთვის მრავალმხრივი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებებსა და გარანტიებს;
- აყალიბებენ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მკაფიო აკრძალვებს;
- ამცირებენ ხმის დათვლის პროცესში შედეგებით მანიპულირების რისკს;
- უზრუნველყოფენ საარჩევნო ადმინისტრაციების, ადმინისტრაციული ორგანოების მეტ გამჭვირვალობას;

მიგვაჩნია რა, რომ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამართლიანი და თანასწორი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას, მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, დაუყოვნებლივ განიხილოს და შეიტანოს ცვლილებები შესაბამის კანონმდებლობაში.